



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 451/ს
08/09/2023

451-21-4-202309080946



ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ მდ. ბიდარას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობში მდ. ბიდარას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავარიული მონაკვეთი მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობში, მდ. ბიდარას მარცხენა ნაპირზე, დაბა გუდაურის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის მიმდებარედ. აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს მდ. ბიდარასა და მდ. თერგის შესართავს. საპროექტო მონაკვეთზე აღინიშნება მდ. ბიდარას მარცხენა ნაპირის ინტენსიური გვერდითი ეროზიული პროცესები, რაც საფრთხეს უქმნის დაბა გუდაურის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ფუნქციონირებას. აღნიშნული ობიექტის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ნაპირდამცავი სამუშაოების განხორციელება და მონოლითური რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა. საპროექტო საყრდენი კედლის განთავსების GPS კოორდინატებია: X-459166.61, Y-4712266.94; X-459176.85, Y-4712093.24; X-4591133.71, Y-4712051.54. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დამორებულია დაახლოებით 250 მეტრით, ხოლო უახლოესი დაცული ტერიტორია, კერძოდ, ყაზბეგის ეროვნული პარკი – 500 მეტრით. აღსანიშნავია, რომ სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტის კორესპონდენციის თანახმად, დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი ნაპირდაცვითი სამუშაოები განხორციელდეს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებული პროექტის მიხედვით.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია მდ. ბიდარას ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ბიდარას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარის სიგრძე, საპროექტო კვეთამდე, შეადგენს 8,25 კმ-ს, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი – 28,8 კმ²-ს. დოკუმენტის თანახმად, 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე,

225 მ³/წმ-ის ტოლია, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე 2,4 მ-ს შეადგენს.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების დაწყებამდე, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, გუდაურის წყალმომარაგების სათავე ნაგებობის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია დროებითი სამშენებლო მოედნის მოწყობა, სადაც განთავსდება სენდვიჩპანელებისგან შემდგარი ინფრასტრუქტურა (ბიოტუალეტი, დაცვის ჯიხური და დროებითი ნაგებობა დასაქმებული პერსონალისთვის). აღნიშნულის შემდგომ მდ. ბიდარას ის განშტოებები, რომლებიც უშუალოდ მიედინება საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის სიახლოვეს, გადამისამართდება მდინარის ძირითად კალაპოტში. მდ. ბიდარას წყლის ნაკადის გადამისამართების შემდეგ, დაიწყება უშუალოდ ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები. საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობა წარმოდგენილი იქნება 234 მეტრი სიგრძის მქონე მონოლითური რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის სახით, რომლის სიმაღლე სხვადასხვა ადგილებში შეიცვლება 5-6 მეტრის ფარგლებში. ნაპირსამაგრი ნაგებობა დაყოფილი იქნება 6 მეტრი სიგრძის 39 სექციად, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება დეფორმაციული ნაკერებით. საპროექტო საყრდენი კედელი დაეფუძნება კენჭნარ-ხრეშნარს, ქვიშისა და ქვიშნარის შემავსებლით. აღნიშნულ ფუძეზე განთავსდება წინასწარ დამზადებული 1 მეტრი სიმაღლის ბეტონის ბლოკები, რომლებიც მოთავსდება სპეციალურ ბუდეებში და დამაგრდება ლითონის მარყუჟებით. ბლოკების თავზე მოწყობა 0.6x0.6 მეტრი განივი კვეთის რკინა-ბეტონის მონოლითური სარტყელი. ბეტონის ზედაპირები, რომლებსაც შეხება აქვთ გრუნტთან (სამირკველის ძირის გარდა), დაიფარება ჰიდროსაიზოლაციო ფენით (ცხელი ბიტუმის საფარი). ნაპირდაცვითი სამუშაოების დასრულების შემდეგ, განხორციელდება დრენირებადი გრუნტის (20-30 სმ) უკუყრა და დატკეპნა. ნაპირდაცვითი სამუშაოების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს და გამოყენებული იქნება: ავტოამწე, ექსკავატორი, ავტოთვიომცლელი, საწევარი, სატკეპნი და ბულდოზერი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარების პერიოდში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა მოხდება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკის მუშაობის და ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად. ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება, ასევე, მოსალოდნელია ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. დოკუმენტის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების მიზნით, ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში გატარდება შემდეგი ღონისძიებები: სამშენებლო ტექნიკისა და დანადგარების კონტროლი; სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების ოპტიმალური მარშრუტებისა და სიჩქარეების დაცვა; ქარიან ამინდში მტვერწარმომქმნელი და საექსკავაციო სამუშაოების შეზღუდვა; ინერტული მასალის ტრანსპორტირების პროცესში სატვირთო ავტოტრანსპორტის ძარის დაფარვა; სამშენებლო ტექნიკის ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაციის კონტროლი. ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილისა და დაგეგმილი

შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პერიოდში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა. ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება დროებითი და არ იქნება მნიშვნელოვანი.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში მდ. ბიდარას დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში, მუდმივად შემოწმდება გამოსაყენებელი ტექნიკისა და დანადგარების გამართულობა და გატარდება შესაბამისი ზომები. ამასთან, ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდება საპროექტო ტერიტორიაზე გამავალი მდინარის განშტოებების ძირითად კალაპოტში გადამისამართების შემდგომ, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სამშენებლო, შესაფუთი და საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია განლაგებულია კავკასიონის სამხრეთ ფერდის (გეოგრაფიულად ჩრდილო ფერდის) ნაოჭა სისტემაში შემაჯავალი სამხრეთული მესტია-თიანეთისა და ჩრდილოური ყაზბეგ-ლაგოდეხის ზონების შეხების ზოლის ფარგლებში. აღნიშნული უბანი აგებულია შუა იურული ბაიოს-ბათურ-კალოვიური და ზედა იურული ოქსფორდ-ტიტონური ასაკის ტერიგენულ-კარბონატული ფლიშური ნალექებით, რომლებიც ინტენსიურადაა დანაოჭებული. შესასწავლი არეალის ცენტრალურ ნაწილში, შუა და ზედა იურული ნალექების შეხების ადგილას აღინიშნება სტრატეგრაფიული უთანხმოება, ფუძეში გავრცელებული 5 მეტრი სიმძლავრის კონგლომერატ-ბრეჩიებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია განიცდის მდინარეულ ეროზიულ და წარეცხვით ზემოქმედებას და მასზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ფლორისტული თვალსაზრისით, საპროექტო არეალი მცენარეთა სახეობრივი მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. აქ ძირითადად გავრცელებულია

ბალახოვანი საფარი ძიგვას სახით (*Nardus stricta*), თანმხლები მცენარეთა სახეობებით (*Alchemilla* sp., *Trifolium* sp და სხვა), რომლებიც არ წარმოადგენს ენდემურ სახეობებს. მდინარის ეროზიული ზემოქმედების გათვალისწინებით, საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება მსხვილი ძუძუმწოვრების საბინადრო ადგილები. დოკუმენტის თანახმად, ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წარმოდგენილია საკალმახე ზონის სახით და გავრცელებულია მხოლოდ ნაკადულის კალმახის ინდივიდები (*Salmo ciscaucasicus*). ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ნაპირდაცვითი სამუშაოების ფარგლებში ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის გარდა, კომპანიის მიერ დაგეგმილი სამუშაოები ასევე ითვალისწინებს გუდაურის წყალმომარაგების სისტემისათვის აუცილებელი შემდეგი ინფრასტრუქტურის მოწყობას: ჰორიზონტალური წყალშემკრები, სატუმბი სადგური, სადაწნეო მილსადენი, ქსელში თვითდენით წყლის მიმწოდებელი მილსადენები, გამანაწილებელი ქსელის წყალსარეგულაციო და სახლებში წყლის შემყვანი კვანძები, ქსელში წნევის რეგულატორები და წყლის სადუზინგეციო საქლორატორი. აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები, ნაპირდაცვით სამუშაოებთან ერთად, დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გაფრქვევითა და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ კუმულაციურ ზემოქმედებასთან. ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის და აგრეთვე, დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაეგზავნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

მდ. ბიდარას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის დაცვას ეროზიული ზემოქმედებისგან.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობის, მასშტაბისა და დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ნაპირდაცვითი სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13. ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფ. კობში შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ მდ. ბიდარას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

